**დამოუკიდებელი ინსპექტორის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2024 წლის 1 ივლისი**

**დისციპლინური საქმე №87/24**
**ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2024 წლის 25 ივნისს -- -- მიმართ მიღებულია -- -- №87 საჩივარი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 22 თებერვლის №- განკარგულების საფუძველზე, -- -- 2021 წლის 1 ივლისიდან, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის №-- გადაწყვეტილებით -- -- უარი ეთქვა ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება.

ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი განმეორებით ვერ იმსჯელებს ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

-- -- უარი ეთქვას №87/24 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

**შოთა ქადაგიძე**
**დამოუკიდებელი ინსპექტორი**